

მეხანძრე-მაშველებმა 13 ივნისს დადუპუდთა ხსოვნას პატივი მიაგეს

✘ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის სახანძრო-სამაშველო ძალების დეპარტამენტის თანამშრომლები 13 ივნისს გარდაცვლილთა მემორიალთან მივიდნენ და დადუპუდთა ხსოვნას პატივი მიაგეს.

ინფორმაციას საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური ავრცელებს.

„მეხანძრე-მაშველებმა მემორიალთან კიდევ ერთხელ გაიხსენეს შვიდი წლის წინ გამირუდად გარდაცვლილი თანამებრძოლი, ბურაბ მუზაშვილი, რომელმაც სამაშველო ოპერაციის დროს ექვსი ადამიანის სიცოცხლის გადარჩენა შეძლო, თავად კი უსაფრთხო აღვირბე გამოსვლა ვეღარ მოახერხა.

საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური 13 ივნისის ტრაგედიის დროს მთავარი მორეაგირე უწყება იყო, რომლის თანამშრომლები სტიქიის ეპიცენტრში მთელი ღამის განმავლობაში აქტიურად მუშაობდნენ. მეხანძრე-მაშველები პირველადი რეაგირების გარდა, რამდენიმე კვირის განმავლობაში, სტიქიის სარიკვიდაციო, საძიებო და აღდგენით სამუშაოებში იყვნენ ჩართული“, – აღნიშნულია საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის ინფორმაციაში.